ხელშეკრულება № 100223-1

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქალაქი თეთრიწყარო 14 თებერვალი 2023წელი

სსიპ ქალაქ თეთრიწყაროს № 1 საჯარო სკოლა წარმოდგენილი მისი დირექტორის გიული ზაქაიძის სახით (შემდგომში შემსყიდველი) ერთი მხრივ, და შპს "გორგია" წარმოდგენილი მისი დირექტორის ხვიჩა პაპუნიძის სახით მეორე მხრივ, (შემდგომში მიმწოდებელი) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით სკოლისათვის (CPV -კოდი 31500000) 9(ცხრა) ცალი გარე განათების ნათურის შეძენა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 225.90 (ორასოცდახუთი ლარი და 90 თეთრი) ლარს ხელშეკრულების ვადაში.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და მიწოდება

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი არ იქნება დაზიანებული და იქნება მოხმარებისათვის ვარგისი.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება – ჩაბარების წესი

4.1 მიწოდებული საქონლის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით შემსყიდველისა და მიმწოდებლის ხელმოწერით.

5. ანგარიშწორების ფორმა, ვადები

5.1 მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება მოხდება გადარიცხვით მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
5.2 ანაზღაურება განხორციელდება პროდუქტის მიღების შემდგომ 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

6. მხარეთა უფლება- მოვალეობანი

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

-შეამოწმოს შესრულებული სამუშაოს ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით.

6.2 მიმწოდებელს უფლება აქვს:

-მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

-მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი უნაკლოდ.

6.4 შემსყიდველი ვალდებულია:

-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2 ხელშეკრულების მოშლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2023 წლის 14 მარტამდე.

9. ფორს-მაჟორი

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულების შესრულებისაგან ისეთი გადაულახავი გარემოებების დადგომისას, როგორიცაა ომი, ხანძარი, სტიქიური უბედურებები, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელმწიფო ხელისუფლების გადატრიალება, სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემული აქტი და სხვა პირობები, რომლებიც აფერხებენ და შეუძლებელს ხდიან მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელებას. აღნიშნული გარემოებების არსებობის გამო მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2 მხარეები ვალდებულნი არიან ერთმანეთს აცნობონ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომა (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ფორს-მაჟორი გარემოებების გამოცხადება ხდება საქართველოში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად სხვადასხვა ნორმატიული ან საინფორმაციო არხების მეშვეობით) ასეთი გარემოებების არსებობის შესახებ, მათი დადგომიდან 48 საათის განმავლობაში (წერილობით, ფაქსით ან ელექტრონული კომუნიკაციის მეშვეობით) .

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებები განაგრძობენ არსებობას 30 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში, მხარეებს შეუძლიათ ცალმხრივად მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება.

9.4 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ფორს-მაჟორული სიტუაციის დასრულებიდან, იმ დროს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, შესაბამის გონივრულ ვადაში უზრუნველყოს ფორს-მაჟორის დადგომამდე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

10.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალერულად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნასთან.

11.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების სპეციალური ჯგუფი.

11.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

11.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის თაობაზე, ინსპექტირების ჯგუფის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ექსპერტის დასკვნის საფუძველზე, ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. სხვა პირობები

12.1 მხარეები აანაზღაურებენ მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12.2 არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

12.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

12.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

12.5 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12.6 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოთ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ ქალაქ თეთრიწყაროს №1 საჯარო სკოლა	შპს „გორგია“
ქალაქი თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ.№2	ქალაქი მარნეული, 26 მაისის ქ. N8
სს „ლიბერთი ბანკი“	ს.ს „თი ბი სი ბანკი“
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგ.№ GE40LB0121152935026000	ანგ.№ GE62TB1007536020100008
ს\კ 230804476	ს\კ 245621288
ტელ: 591-05-85-45	ტელ:
დირექტორი: გიული ზაქაიძე	დირექტორი: ხვიჩა პაპუნიძე
---	---